მკვლელობას. გასაგებია, რომ ადამიანთა მეორე ჯგუფი არის პოტენციური საზარბაზნე ხორცი ლიბიური მართლმადიდებლების „ობიექტური“ განდევნილებისთვის. ახალი ხელისუფლების ციხეებში არიან ეგრეთ წოდებული პოლიტპატიმრები, რომელთაც მუდმივად ანამებენ და რომელთა შესახებაც უკვე არაერთხელ განაცხადა არაერთმა საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ.

საოცარია, მაგრამ თვით ისეთი ორგანიზაციაც კი, როგორცაა „ექიმები საზღვრებს გარეშე“, უარს აცხადებს ლიბიის ქალაქებში მუშაობაზე, რადგან მის თანამშრომლებს საქმე აქვთ არა მათთან, ვინც ბრძოლებში მიიღეს ჭრილობები, არამედ მათთან, ვის სხეულზეც თვალნათლივ ჩანს ნამების კვალი. მაგრამ ახლანდელი ლიბიის კანონებით ხომ ნამება აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა, მაგრამ განა „ოპოზიციონერები“ არ გაიძახოდნენ, რომ ებრძვიან კადაფის



დემოკრატიის აღდგენა

რეჟიმს იმიტომაც, რომ ის და მისი ხელკვეითები ანამებდნენ პოლიტიკურ დისიდენტებს სპეცციხეებში. გამოდის, რომ თუ კადაფი მართლაც ანამებდა ვინმეს, ეს რაღაც ვირუსივითაა, რომელიც ლიბიის ერთი ხელისუფლებიდან მეორეს გადაეცემა.

ამ დრომდე პრაქტიკულად უცნობია კადაფის შვილის — ხაიფ ალ-ისლამის ბედი. ზოგიერთი ცნობით, ის ნაციონალური გარდაამავალი საბჭოს რომელიც ციხეში კი არა, რომელიც დაპირისპირებული დედაგუფების საპყრობილეშია. ირიბად ეს იმითაც დასტურდება, რომ გარდაამავალი ნაციონალური საბჭო კატეგორიულ უარს ამბობს ჰააგისთვის მის გადაცემაზე. მრავალი ექსპერტი საუბრობს იმაზე, რომ სიამოვნებით გადასცემდნენ კადაფის შვილს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, მაგრამ ამისათვის ჯერ მისი ხელში ჩაგდება სჭირდება.

ეს ინფორმაცია არ დასტურდება, სამაგიეროდ დასტურდება ლიბიაში სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომის ძველი პროგნოზები. ქვეყანა სამწინაადაა გახლეჩილი. ყველაზე მეტი გავლენა და ეკონომიკური რესურსები აქვს კირენაიკის, დანარჩენი რეგიონების მოსახლეობას კი არ სურს ნავთობით მდიდარი ადგილების დაკარგვა და ამ რეგიონების განსაკუთრებით საომრად განწყობილი წარმომადგენლები კვლავაც განაგრძობენ თავიანთი პრობლემების ავტომატებით გადაჭრის მცდელობებს.

დღეს ბრძოლები მიდის უკვე ლიბიის სამხრეთ საზღვრებზე, რომელიც უკანასკნელ პერიოდამდე საკმაოდ მშვიდობიანად ითვლებოდა. აქ შეტაკებები ხდება ადგილობრივ თემებსა და ზემოხსენებული კანონის ადრესატებს შორის, რომლებიც ქვეყანაში სიტუაციას საკუთარი კონტროლის დამყარებას ცდილობენ.

გაქტორდნენ ბერბერები, რომლებიც საკუთარ ტერიტორიაზე ავტონომიის მსგავსი რაღაცის მოწყობას და საკუთარი კანონებით ცხოვრებას აპირებენ. გარდაამავალი ნაციონალური საბჭოს დემოკრატიული მისწრაფებები, გასაგები მიზეზების გამო, არ ემთხვევა ბერბერების სურვილებს, რის გამოც სულ უფრო ხშირდება ასეულობით მსხვერპლით დასრულებული საბრძოლო შეტაკებები.

დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ლიბიაში დევნიან იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც მუამარ კადაფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდნენ. ბრძოლა მიმდინარეობს იმ კომპანიების წინააღმდეგაც, რომლებიც აშშ-ის შიდა მარტინი კადაფისთან თანამშრომლობდნენ. თუ საქმე მომავალშიც ამ მიმართულებით გაგრძელდება, ციხე და პატიმრობა ელის ნებისმიერ ადამიანს, ვინც ამა თუ იმ მიზეზით ლიბიაში აღმოჩნდა 1969 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში — იმ დროს ხომ ქვეყანას კადაფი მართავდა.

მოკლედ, ცალკე ალბეული ერთი ქვეყნის მაგალითზე დასავლური დემოკრატიის იდეალები ჩვენს თვალში ყავის და იფურჩქნება...

topwar.ru



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დემონსტრანტი, რომლებმაც მსვლელობა სამი პუნქტიდან დაიწყეს, რათა ბოლოს თავისუფლების მოედანზე დაგეგმილ აქციას შეერთებოდნენ, ქართულ დროშებთან ერთად ევროკავშირისა და ნატოს დროშებს აფრიალებდნენ, იმის ნიშნად, რომ სააკაშვილის დროს განსაზღვრული მიზნებისადმი მხარდაჭერა, კერძოდ საქართველოს დასავლურ ორგანიზაციებში განხორციელება, კვლავ ძლიერია.

გასობრივი დემონსტრაცია თბილისში საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ ყველაზე დიდი აქცია 2009 წლის შემდეგ

ათიათასობით ადამიანი გამოვიდა საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ. დემონსტრანტებს შორის უმრავლესობა ქვეყნის ყველაზე მდიდარი ადამიანის — ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი იყო. ივანიშვილი პოლიტიკაში შარშან ჩაება. იგი, თავის ოპოზიციურ ალიანს „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, ოქტომბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში სააკაშვილს უპირისპირდება.



ლონისძიება ივანიშვილის საარჩევნო კამპანიის დაწყებას უკავშირდებოდა. ეს იყო 2009 წლის შემდეგ ყველაზე დიდი ოპოზიციური დემონსტრაცია თბილისში.

ივანიშვილის ქონება, ამერიკულ ჟურნალ Forbes-ის თანახმად, 4,8 მილიარდი ევროა და, რომელიც პოლიტიკოსი, ძარბოვალაჰს ჰპირდება სილბაქის აღმოსავლეთისა და ევროკავშირისა და ნატოს წევრობას.

„ქართული ოცნება“ რეიტინგით სააკაშვილის მმართველი პარტიის რეიტინგს ჩამორჩება. სააკაშვილი ხელიშეუფლებამი 2004 წელს მოვიდა, ე. წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ. პროდასავლელ პრეზიდენტს ოპონენტები ავტორიტარიზმში ადანაშაულებენ.

WELT.ONLINE

ქართველების აქცია ოპოზიციური მაგნატის მხარდასაჭერად

ათიათასობით ადამიანი მონაწილეობდა კვირას დედაქალაქში გამართულ აქციაში — ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ყველაზე მდიდარმა ადამიანმა დაიწყო საარჩევნო კამპანია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველი პარტიის წინააღმდეგ. არჩევნების ჩატარება წელს მოგვიანებით იგეგმება.

„საკაშვილი მხდალია, მას არ აქვს არგუმენტი, გარდა ტყუილისა და ძალადობისა“, — თქვა მან და პირობა დადო, რომ ამ პატარა კავკასიურ სახელმწიფოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას და სილბაქიდან ამოიყვანს.

2009 წლის შემდეგ ეს იმ ოპოზიციის მიერ გამართული ყველაზე დიდი დემონსტრაცია იყო, რომელიც გააცოცხლა ბიზნესმენის მიერ სააკაშვილის გამონევის გადაწყვეტილებამ. თუმცა, სტილითა და გოგონის კვლევის თანახმად, მისი ალიანსის რეიტინგი მმართველი პარტიის რეიტინგს ჩამორჩება.

The Washington times

გასობრივი ოპოზიციური გაგონება თბილისში — საქართველოში

ათიათასობით ადამიანმა გაავსო საქართველოს დედაქალაქის ქუჩები, რათა დასწრებოდნენ პოლიტიკურ მიტინგს, რომლის ორგანიზატორიც იყო ქართველი მილიარდერი და ოპოზიციის ლიდერი.

თუმცა ბევრი ქართველი ამომრჩეველი ეჭვით უყურებს ივანიშვილს, რომელმაც ქონება რუსეთში 1990-იან წლებში შეიძინა.

სუფლებამო მოვიდოდა, 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“, საქართველო თითქმის არ შემდგარი ქვეყანა იყო, კრიმინალის მაღალი მაჩვენებლით.

ივანიშვილი პოლიტიკაში გასულ ოქტომბერს მოვიდა და განაცხადა, რომ აყალიბებს პოლიტიკურ პარტიას საპარლამენტო არჩევნებში გა-

ნისტრის პოსტის დაკავების მიზნით. მან თავისი ქონება ოპოზიციის გაერთიანებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისთვის გამოიყენა.

„ჩვენ უეჭველად გავიმარჯვებით, თუმცა მხოლოდ სურვილი გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის“.

„ჩვენი კორესპონდენტის განმარტებით, არსებობს შიში, რომ ხელისუფლების შეცვლა ქვეყანას იმ წარსულთან მიაბრუნებს.“

ბიძინა ივანიშვილი, ქვეყნის უმდიდრესი კაცი, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ საარჩევნო კამპანიას ატარებს. ეს იყო უდიდესი ანტი-სამთავრობო დემონსტრაცია წლების განმავლობაში.

„ჩვენ უეჭველად გავიმარჯვებით, თუმცა მხოლოდ სურვილი გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის“.

სანამ სააკაშვილი ხელი-

BBC

ათიათასობით დემონსტრანტი — სააკაშვილის მთავრობის წინააღმდეგ

ათიათასობით ადამიანი გამოვიდა კვირას საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში, რათა გამოეხატა თავისი პროტესტი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ — ეს ბოლო სამი წლის განმავლობაში ყველაზე ფართომასშტაბიანი ანტისამთავრობო დემონსტრაცია იყო.

პროტესტს განიხილავდნენ, როგორც ოპოზიციის საზოგადოებრივი მხარდამჭერის ტიტულს ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ.

„ჩემი ოცნება ყოველთვის იყო ძლიერი და ერთიანი საქართველო, სადაც ადამიანები ცხოვრობენ თავისუფლად და დამსახურების მიხედვით“.

ეს ასევე პოლიტიკური დებიუტი იყო აქციის ორგანიზატორ ბიძინა ივანიშვილისთვის, ქართველი მილიარდერისთვის, რომელიც საქართველოს ყველაზე მდიდარი ადამიანი და ცნობილი ქველმოქმედი.

„ჩემი ოცნება ყოველთვის იყო ძლიერი და ერთიანი საქართველო, სადაც ადამიანები ცხოვრობენ თავისუფლად და დამსახურების მიხედვით“.

საკაშვილის მეორე და ბოლო საპრეზიდენტო ვადა იანვარში დასრულდება და მისი სამომავლო გეგმები ბუნდოვანია.

საქართველოში დამოუკიდებლობა 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, მოიპოვა და დაიწყო დასავლეთთან დაახლოება, რომელსაც 2004 წელს სააკაშვილი მად, ძალაუფლება ემატება.

მაგრამ ეს უსიამოვნო ანალიზს გააჩენს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან, რომელიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პრემიერ-მინისტრად მუშაობდა, რათა მორგებოდა ორ-დასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ აკრძალვას.

მაგრამ ეს უსიამოვნო ანალიზს გააჩენს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან, რომელიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პრემიერ-მინისტრად მუშაობდა, რათა მორგებოდა ორ-დასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ აკრძალვას.

ორგანიზატორების მართვით, აქციას 110 000 ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის, როგორც, უმცირესი შეფასებით, დემონსტრანტების რაოდენობა დაახლოებით 30 000 იყო.

2009 წელს სააკაშვილმა გაუქმო ოპოზიციის დამონსტრაციები, რომელიც კვირების განმავლობაში გრძელდებოდა. მათ შორის მონაწილეობა მიიღო მთელი საქართველოს ორი გამოყოფილი რეგიონის ირგვლივ გაჩაღდა და რომლებიც დღეს თბილისის კონტროლის მიღმა არიან და მთლიანად მოსკოვთან არიან დაკავშირებული.

დემონსტრანტები, რომლებმაც მსვლელობა სამი პუნქტიდან მოაწყვეს, რათა ბოლოს თავისუფლების მოედანზე დაგეგმილ აქციას შეერთებოდნენ, ქართულ დროშებთან ერთად ევროკავშირისა და ნატოს დროშებს აფრიალებდნენ, იმის ნიშნად, რომ სააკაშვილის დროს განსაზღვრული მიზნებისადმი მხარდაჭერა, კერძოდ საქართველოს დასავლურ ორგანიზაციებში განხორციელება, კვლავ ძლიერია.

კვირის აქცია გახსნა კახა კალაძემ, საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანმა, რომელიც ცხრა სეზონის განმავლობაში „მილანში“ თამაშობდა. აქცია დასრულდა ივანიშვილის ვაჟის, რუპ მუსნიკოსის — ბერას პერფორმანსით.

Associated Press



ჩერჩილმა დარწმუნებით განაცხადა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელი უნდა დავაყენოთო რუსეთის უდიდესი ფიგურების გვირგვინით, იგი იმსახურებს სტალინი დიდის (დიდი სტალინის) წოდებას.



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

სტალინის აპოქალიფსი

გაბრკალება.
დასაწყისი იხ.
№1-19 (139-157)

დიპლომატიური ორთახროლები

დროულად დაჭერილი თაღარიბი

ოპერაცია „ოვერლორდის“ დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რა თქმა უნდა, იყო მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი პრობლემა მეორე ფრონტის რაც შეიძლება ორგანიზებულად და ეფექტიანად განსახორციელებლად.

სტალინმა მიაღწია იმას, რომ ამ ოპერაციაზე პასუხისმგებლობა დაკისრებოდა ერთ სარდალს. უეჭველ პირობად მას მიაჩნდა ერთმართველობის დადგენა, მრავალი ძირის ხელში ბავშვი ნაბანი წყლისთვის რომ არ გაეტანებიათ. ამასთან, მას ამერიკის პრეზიდენტი და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მტკიცედ დაჰპირდნენ, რომ მათი მხარეში იქნებოდა „ოვერლორდი“ განხორციელებული საფრანგეთში საფრანგეთში გადასახლებული დესანტის მხარდაჭერით. ამგვარ ორმაგ დარტყმას სტალინმა მხარი დაუჭირა იმ მოსაზრებით, რომ მონინალმდეგეს თავისი ჯარების გადაჯგუფების საშუალება არ მიეცემოდა.

მომდევნო ძალიან მტკივნეული საკითხი, პოლონეთის ომის შემდგომ სახელმწიფოებრივ მონყოლას ეხებოდა. ინგლისი მოითხოვდა, რომ იქ დაბრუნებულიყო პოლონეთის დევნილი მთავრობა, რომელიც ლონდონს იყო შეხიზნული. სტალინი დათანხმდა: ეს ქვეყანა დამოუკიდებელი უნდა იყოს (რევოლუციამდე პოლონეთი რუსეთის ნაწილი იყო), მაგრამ აუცილებლად მეგობრულად განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ.

ყოფილი საბჭოთა დიპლომატის — ვ. ბერეჟოვის წიგნ-

ში, რომელიც 1982 წელს გამოიცა, აღნიშნულია, რომ „ჩერჩილს თავის წიგნში არ უხსენებია სტალინის ნონადი არ-გუმენტი, რომელიც პოლონეთის საკითხის დროს წარმოადგინა: პოლონეთის ლონდონური მთავრობის ოფიციალური ფურცელი ორპირი ლმერის — იანუსის გამოსახულებით, რომელსაც პიტლერისა და სტალინის სახეები ჰქონდა“. უნდა აღვნიშნოთ, რომ შემდეგაც „ლონდონელი პოლონელები“ აქტიურ ანტიდაპროტა პოპაგანდას ეწეოდნენ. ამიტომ იყო მონდომებული სტალინი, რომ საბჭოთა კავშირს მეზობლად მეგობრული პოლონეთი ჰყოლოდა. ეს ხელს არ აძლევდა ჩერჩილს, რომელიც უნინდებურად პოლონეთს დიდი ბრიტანეთის ინტერესებში შემავალ ქვეყანად წარმოადგენდა.

დაბოლოს, იყო კიდევ ერთი საკამათო საკითხი, რომელიც პოლონეთს უკავშირდებოდა

და აღმოსავლეთით მისი მომავალი საზღვრის დადგენას ეხებოდა.

ცნობილია, რომ მოლოტოვი-რიბენტროპის პაქტით საბჭოთა კავშირს შემოუერთდა უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთის რაიონები. „დიდი სამეული“ მოლაპარაკებული იყო, აღედგინათ საზღვარი ე. კერზონის ხაზის მიხედვით, ანუ ისე, როგორც ეს 1919 წელს დადგინა ანტანტის უმაღლესმა საბჭომ.

ჩერჩილმა კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა რუკა, რომელზეც ეს ხაზი იყო გავლებული. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა ამ ხაზს თითი გააყოლა და თქვა, რომ იგი ლგოვის აღმოსავლეთით გადის. სტალინმა უარის ნიშნად თავი გააქანა და განაცხადა, რომ მოლოტოვი ჩამოიტანა უფრო ზუსტი რუკა, ორიგინალი. კონფერენციის მონაწილეებს მართლაც წარმოადგინეს დე-

დანი, რომლითაც ლგოვი საბჭოთა კავშირის ფარგლებში გადადიოდა. „მაგრამ ეს ქალაქი ხომ სულ ახლახან პოლონური იყო!“ — აღშფოთდა ჩერჩილი. „უფრო ადრე ვარშავა რუსული იყო“, — შენიშნა სტალინმა.

განხილვა რომ დამთავრებულია, მოლოტოვიმ მოკავშირეებს წარუდგინა კერზონის ტელეფონგრამა, რომელშიც ლორდი ჩამოთვლიდა რუსეთისთვის გადასაცემ ქალაქებს. მათ შორის იყო ლგოვიც. ჩერჩილის ტყუილმა არ გაჭრა. სტალინმა იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე და თადარიგი დროზე დაიჭირა — ისტორიული დოკუმენტების თეირანში ჩატანის განკარგულება იმთავითვე ჰქონდა გაცემული.

...კონფერენციის მონაწილენი დარწმუნებული იყვნენ, რომ მალე გაიმარჯვდნენ. სტალინთან საუბარში ჩერჩილმა უზენაესი ძალა კი დაიმონა:

— მიმანია, რომ ღმერთი ჩვენს მხარესაა. ყოველ შემთხვევაში, მე ყველაფერი გავაკეთე, იგი ჩვენი მოკავშირე რომ გამხდარიყო.

— მაშინ ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია, — ჩაეცინა სტალინს, — ეშმაკი, ხომ, რა თქმა უნდა, ჩემს მხარესაა. ყველამ იცის, რომ სატანა კომუნისტია. ღმერთი კი, უეჭველად, წესიერი კონსერვატორია.

ყველაფრით მტკიცდებოდა, რომ ღმერთი სტალინის მიმართ მონყალედ იყო განწყობილი.

სალამოთი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის იუბილეზე სტალინმა წარმოთქვა სადღეგრძელო: „ჩემს მეტროქოლ მეგობარს — ჩერჩილს გაუმარჯოს!“

პასუხად ჩერჩილმა დარწმუნებით განაცხადა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელი უნდა დავაყენოთო რუსეთის უდიდესი ფიგურების გვირგვინით, იგი იმსახურებს სტალინი დიდის (დიდი სტალინის) წოდებას.

ამ მომენტისთვის თუ არა, ომის დამთავრების შემდეგ ეს ტიტული სტალინისთვის მართლაც შესაფერი იყო, მაგრამ რეაქცია ამჯერადაც მოულოდნელი იყო.

— პატივი, — თქვა მან, — რომელსაც მე მდებენ, სინამდვილეში რუს ხალხს ეკუთვნის. ძალიან ადვილია, იყო გმირი და დიდი ლიდერი, თუ საქმე გვაქვს ისეთ ადამიანებთან, როგორებიც რუსები არიან... ნითელი არმია გმირულად იბრძვის, თუმცა რუსი ხალხი ვერც მოითმენდა თავისი შეიარაღებული ძალების სხვაგვარ ქმედებას.

არცთუ მამაცი ადამიანები, მშობრებიც კი, რუსეთში გმირები ხდებიან.

სიპართლის მსგავსი ტყუილის უმსახე

ერთი და იმავე ფაქტების განსხვავებული ინტერპრეტაცია რომ შესაძლებელია, ეს ცნობილია. ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ მსჯელობს და რა მიზნით. ხშირად შეუძლებელია გაიძვერა კომენტატორის მხილება.

აი, მაგალითად, სტალინის ზემოთ მოხმობილი სიტყვები რუსი ხალხის შესახებ. როგორ უნდა გავიგოთ მათში ჩადებულ აზრი? თუ თქვენ პატიოსანი და გულგრილი ადამიანი ხართ, ამ სიტყვებს სამშობლოსთვის თავდადებული ადამიანების გამოხატვად აღიქვამთ. მადლიერების გრძობით მათდამი, ვინც, უწინარეს ყოვლისა, შეინარჩუნა ერთგულება სამშობლოსადმი, ფიცისა და თავისი ხელმძღვანელის ერთგული დარჩა. მით უფრო, რომ იგი იმსახურებს სტალინი დიდის (დიდი სტალინის) წოდებას და არა მარტო არმიას.

კრიტიკოსი იტყვის: რატომ მაინც და მაინც რუსები? ველიკოდერჟავული შოვინიზმი ხომ არ არის — ერთი ერის განდიდება სხვათა დაკნინების ხარჯზე? სტალინს ამ ნაკლებზე ჯერ კიდევ ლენინის დროს მიუთითებდნენ. რატომ არ თქვა ასეთი აღფრთოვანებული სიტყვები მთელ საბჭოთა ხალხზე?

სტალინის — ფულაშვილის სიტყვები მონობის მის ობიექტურ დამოკიდებულებას რუსი ხალხისადმი. ამას ამბობს ქართველი კაცი და არა ველიკოდერჟავული შოვინიზმით შეპყრობილი რუსი თვითმპყრობელი. ▶



თეირანის კონფერენციაზე

სტალინი ლაპარაკობდა იმას, რასაც ფიქრობდა, რაც სწამდა და რისაც სჯეროდა. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ წიგნის ავტორთა არაერთგზის გამოთქმულ შეფასებას, რომ სტალინი თავის დიქლომატიურ მართებრობაში იყო პატიოსანი, მართალი პოლიტიკოსი და მართალი ადამიანი.

ქართველი მკითხველის ყურადღებას მივაქცევ კიდევ რამდენიმე გარემოებას.

არ დაგვავიწყდეს, რომ დასავლეთში საბჭოთა კავშირის მოიხსენიებდნენ, როგორც რუსეთს, საბჭოთა ხალხს — რუსებად. სტალინიმ მოკავშირეებთან საუბრისას სწორედ ეს მომენტი გაითვალისწინა. ხოლო შემდეგ, 1945 წელს, გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ მიღებაზე სრულად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

მოვიხსენიებ ლაპარაკი ამ შემთხვევაში ყალბი ბრალდებაა.

ამავე დროს, დიდი სამამულო ომის პერიოდში რუსი ხალხის განსაკუთრებულ როლზე, იმ უდიდეს მსხვერპლზე, რომელიც მან გაიღო, იმ არნახულ სიმტკიცეზე, გამირობასა და სიმამაცეზე ლაპარაკი, რაც მან სასტიკ მტერთან ბრძოლაში გამოიჩინა, არა მარტო რეალური ვითარების ობიექტურად შეფასებაა, არამედ უდიდესი მადლიერების გამოხატვა, დაფასება, გნებავთ, ნახალისებაც და მორალური მხარდაჭერაც, რაც ქვეყნის ლიდერს უნდა გაეკეთებინა და გააკეთა კიდევ.

ერთი რამეცაა გასათვალისწინებელი, რაც სტალინის გულწრფელობას, მართალ კაცობას ხაზს უსვამს.

სიტუაცია, რომლის დროსაც სტალინიმა ეს სიტყვები წარმოთქვა, არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო მასობრივ მაყურებელზე გათვლილი პროპაგანდისტული ლოზინგები. მოკავშირე ქვეყნების ლიდერების შეხვედრა, როცა დიდი ომის უმძიმესი წლები ჯერ კიდევ გასავლელი იყო, როცა „მტერს არ ეძინა“, ტარდებოდა გარე სამყაროსგან სრულად იზოლირებულ ვითარებაში. ამიტომ იქ თქმული ყველა სიტყვა გათვალისწინებული იყო მხოლოდ დამსწრეთა საყურადღებოდ და გარე ფაქტორები, „ხალხისთვის ლაპარაკი“ მთლიანად გამოირიცხებოდა. სტალინი ლაპარაკობდა იმას, რასაც ფიქრობდა, რაც სწამდა და რისაც სჯეროდა. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ წიგნის ავტორთა არაერთგზის გამოთქმულ შეფასებას, რომ სტალინი თავის დიქლომატიურ ორთაბრძოლაში იყო პატიოსანი, მართალი პოლიტიკოსი და მართალი ადამიანი, რაც ყველა სხვა ფაქტორთან ერთად, რაც ამ ბრძოლების

მოსაგებლად იყო საჭირო და რომელთაც იგი სრულად ფლობდა, უზრუნველყოფდა მის გამარჯვებას დიქლომატიის ფრონტზე.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც თეირანის კონფერენციაზე არა, მაგრამ გამარჯვების შემდეგ წამოიჭრა, უფრო ზუსტად, ანტისტალინისტების სათრევ-საჯიჯგინი გახდა და რომელიც ადამიანების, ხალხის როლისა და ადგილის შეფასებასთანა იყო დაკავშირებული.

ადამიანი ჭანჭიკი?

ამ საკითხთან დაკავშირებით წიგნის ავტორები წერენ: ანტისტალინელები ხშირად იმეორებენ, რომ სტალინი ცბიერობს, როცა მაღლად აფასებს რუს ხალხს, რადგან უბრალო ადამიანებს „ჭანჭიკებად“ მოიხსენიებს, აკონიებს მათ, სახელმწიფო მექანიზმის წვრილი დეტალების დონემდე დაჰყავს, ანუ ადამიანებადაც არ მიიჩნევს, იყენებს მათ, როგორც საშუალებას საკუთარი უსაზღვრო ძალაუფლების უინის დასაკმაყოფილებელ საშუალებას.


თითქოს სიმართლეს ამბობენ, რადგან სიმართლის ნატამალი მართლაც არის. უბრალო ადამიანების მიმართ მან მართლაც იხმარა სიტყვა ჭანჭიკი, თუმცა ორიგინალური არ ყოფილა: მან გამოიყენა თევდორე დოსტოევსკის გამოთქმა ნანარმოებიდან „ჩანანერები იატაკქვეშეთიდან“, სადაც „შტიფტიკზე“ ლაპარაკი.

(შტიფტიკი — მცირე წვირი ოქტოვის რუსული ენის ლექსიკონში (გვ. 832) განმარტებულია, როგორც სპეციალური ტერმინი: შიმშილი ყივდილზე; ვმნიშ, გვრზლტ ქეზ მოჭკემ // უსენტსმიოტნრ შიმშილი, რაც ქართულად ასე ითარგმნება: ღერუკა (მცირე ღერი), ხრახნი (კინობითი), უთავო ღერსმანი, მცირე წვირი).

ახლა ვნახოთ, როგორ კონსტრუქციის იხმარა ეს სიტყვა სტალინიმ:

„მთელი საქმე ხომ ადამიანია, თითქოს, და სიმართლეს მხოლოდ ისაა, რომ ადამიანი ყოველწუთიერად უმტკიცებდეს თავის თავს, რომ იგი ადამიანია და არა „შტიფტიკი“! ლაპარაკია ნების თავისუფლებაზე, იმის შესაძლებლობაზე, რომ გაილაშქრო ბუნებისა და საზოგადოების დადგენილი მექანიკური კანონების წინააღმდეგ.

სტალინი სწორედ ისაა



მოკავშირეთა დესანტის გადასვლა საზრანგეთის სანაპიროზე

დასავლეთში საბჭოთა კავშირს მოიხსენიებდნენ, როგორც რუსეთს, საბჭოთა ხალხს — რუსებად. სტალინიმ მოკავშირეებთან საუბრისას სწორად ეს მომენტი გაითვალისწინა. სოლო უეფდო, 1945 წელს, გააჩვენა დიქლომატიური უიჯნოე ვიჯნოე სკულად ჩამოყალიბა თავისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით

ხაზგასმული, რომ დაუშვებელია ადამიანს მოეპყრო, როგორც „შტიფტიკს“: „მე მინდა, შევსვა სადღეგრძელო ადამიანების, რომელთაც ცოტა ჩინები აქვთ და ნოდებებიც — არასახარბიელო. იმ ადამიანებისა, ვისაც დიდი სახელმწიფო მექანიზმის „ჭანჭიკებად“ მოიხსენიებენ (პირდაპირი თარგმანი ხრახნის კინობითი ფორმაა — ხრახნუკა. — ა.ს.). მაგრამ მათ გარეშე ჩვენ ყველანი — მარშლები და ფრონტების სარდლები, უხეშად რომ ვთქვათ, კაპიკადაც არ ვლირვართ“ (სტალინი წმინდა რუსულ გამოთქმას ხმარობს — Ни черта не стоим, რასაც, ალბათ, შეესაბამება ქართული იდიომა — ეშმაკსაც ნაველივართ).

ნუთუ ესეც ყალბი თავმდაბლობით განაცხადა?! არავითარ შემთხვევაში! ასე შეიძლება და გვეფიცოთ მამონ, ეს სიტყვები ხალხის მასის წინაშე, დემაგოგიური ალტკინებით რომ წარმოთქმულიყო, რასაც ხშირად აკეთებენ თანამედროვე პოლიტიკოსები...

მაგრამ ამას იგი ლაპარაკობდა უმაღლესი სარდლობის წინაშე, რომელთა მკერდი ჯილდოებით იყო დამშვენებული. იგი საკუთარი თავსაც ამგვარი ხელმძღვანელებს მიაკუთვნებდა („ჩვენ ყველანი“). იგი ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა, რაც სწამდა და რისაც სჯეროდა. ...ადამიანები, ვინც თავიანთი ცხოვრების მანძილზე მიეჩნეოდა ტყულის თქმას, ვერ გაუგებენ ადამიანს, რომელსაც საკუთარი ღირსების ძლიერი გრძნობა აქვთ და ვერც კი წარმოუდგენიათ საკუთარი თავის დამცირება პირფრობითა და სიცრუით...

ამ თვალსაზრისით ჩერჩილი უეჭველად უფრო ახლოს იდგა სტალინიდან, რადგან თავად იყო არაორდინალური პიროვნება. იგი სტალინს ეპაექრებოდა არა იმიტომ, რომ აუტანელი ხასიათი ჰქონდა და მისი უხერხულ დეგომარეობაში ჩაყენება სიამოვნებდა, არამედ იმიტომ, რომ ვითარება იყო კატასტროფული, ნერვები უკიდურესობამდე დაძაბული, როცა დიდი ბრიტანეთის იმპერია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა და მას, თავისი ქვეყნის ლიდერსა და პატრიოტს, მოღვაწეს, რომელსაც ჩამოყალიბებული იდეური პოზიცია ძვალ-რბილში ჰქონდა გამგდარი, ნებისმიერი აზრი, პოზიცია, რომელიც ამ ჩარჩოებში ვერ ჯდებოდა, მის ნეგატიურ რეაქციას იწვევდა. ბრიტანეთის იმპერია ყველა დაშვებული და აკრძალული ხერხის გამოყენებით იყო გადასარჩენი. ამასთან, ტყუილი, რომელიც სახელმწიფო ინტერესებთან რეზონირებდა, დასავლეთში არასოდეს ითვლებოდა სამარცხვინო საქმედ.

მაგალითად, 1944 წლის 17 იანვარს გაზეთი „პრავდა“ იტყობინებოდა, რომ, სარწმუნო წყაროების ცნობით, გაი-

მართა რობენტროპისა და ინგლისის ხელმძღვანელების შეხვედრა, რომელზეც განიხილეს გერმანიასთან სეპარატული დაზავების პირობების გარკვევის საკითხი. ერთი კვირის თავზე ჩერჩილმა გაუგზავნა წერილი სტალინს, რომელშიც გამოთქვამდა უკმაყოფილებას ამ უბუბლიკაციის გამო:

„ეს ცნობა მით უფრო შეუერაცხმეოა, რომ ჩვენ ვერ ვიგებთ მის ნამდვილ მიზნებს. დარწმუნებული ვარ, თქვენ იცით, რომ მე ცალკე არ გავმარტობდი მოლაპარაკებას გერმანელებთან, და რომ ჩვენ თქვენ გატყობინებთ ისევე, როგორც თქვენ — ჩვენ თითოეული წინადადებას შესახებ, რომლითაც ისინი მოგვმართავენ. ჩვენ არც კი გვიფიქრია სეპარატული მშვიდობიანი დადება იმ წელიწადსაც კი, როცა ჩვენ სრულიად მარტონი ვიყავით და შეგვეძლოა ასეთი სამშვიდობო ხელშეკრულების დადება ბრიტანეთის იმპერიისთვის სერიოზული დანაკარგების გარეშე, და მნიშვნელოვანწილად თქვენს ხარჯზე. რატომ უნდა ვიფიქროთ ამის შესახებ დღეს, როცა ჩვენ სამის საქმეებზე გამარჯვებისკენ მიდის?“

ამ უბუბლიკაციის გარშემო იმართება კამათი, მაგრამ ღირსეული და თავდაჭერილი, თუმცა არა პრინციპების დათმობის ხარჯზე.

ერთ მხარეს იდგა ჩერჩილი შეურაცხყოფილის პოზაში, თითქოს დაივიწყა თავისი პოლიტიკა საბჭოთა კავშირის გამოფიტვისკენ მიმართული. ამასთან, იგი ერთ მნიშვნელოვან ტენდენციასაც შეეხო: ამ პერიოდში გახშირდა ინგლისურ პრესაში ანტისაბჭოთა მასალების გამოქვეყნება. იგი სტალინს წერდა: „თუ რამეს ჰქონდა ადგილი ან რამე დაიბეჭდა ინგლისურ გაზეთებში

ისეთი, რამაც თქვენ გაგალიზინათ, მაშინ რატომ არ გამოვიგზავნეთ დეპეშა ან არ დაავალეთ თქვენს ელჩს, შემოეარა და შეგვედროდა ამ საკითხთან დაკავშირებით?“

ამასთან, ჩერჩილმა მიანიშნა, რომ ხელენიფება მეორე ფრონტის გახსნის შეფერხება: „მე ამჟამად ვმუშაობ, რათა უზრუნველყო მეორე ფრონტისთვის წარმატება და გავშალო იგი უფრო მეტი მასშტაბით, მაგრამ ჩემი მუშაობა ფერხდება ქინძისთვის ჩხვლეტის მაგვარი გამოხდომებით“.

საპასუხო წერილში სტალინი დაიმონმა „გაზეთის უფლება, ცნოს მთავარი ხმები, რომლებსაც გაზეთი იღებს შემონახული აგენტებისგან. ჩვენ — რუსებს... არასოდეს გვექონია ბრიტანეთის პრესის საქმეებში ამგვარი ჩარევის პრეტენზია“. და, მართლაც, მსგავს შემთხვევებში, საქმე ეხებოდა სსრ კავშირისა და მისი ხელმძღვანელების წინააღმდეგ მიმართულ ცილისწამებასაც კი, ბრიტანეთის პრემიერი იშველიებდა პრესის თავისუფლების პრინციპს. გამორიცხული არ არის, რომ „პრავდის“ უბუბლიკაცია მიზნად ისახავდა ინგლისელებისა და ამერიკელების გერმანელებთან შესაძლო მოლაპარაკების პრევენციას.

„საკითხის არსიდან გამომდინარე, — განაგრძობდა სტალინი, — ვერ დაგეთანხმებით, რომ ინგლისის თავის დროზე თავისუფლად შეეძლო სამშვიდობო ხელშეკრულება დაეფორმებინათ, უპირატესად, სსრკ-ის ხარჯზე ბრიტანეთის იმპერიისთვის სერიოზული დანაკარგების გარეშე. ვფიქრობ, რომ ეს ცხელ გულზე ნათქვამი, რადგან მე მასსოვს სხვა ხასიათის თქვენი განცხადებებიც. მე მასსოვს, მაგალითად, ინგლისისთვის ძნელ დროს, საბჭოთა კავშირის გერმანიასთან ომში ჩართვამდე, თქვენ შესაძლებლად მიიჩნევდით ბრიტანეთის მთავრობის კანადაში გადასვლას და ოკეანის გაღმობას გერმანიასთან ომის წარმოებას. მეორე მხრივ, თქვენ აღიარებდით, რომ სწორედ საჭოთა კავშირმა, რომელიც შეებრძოლა შიტლერს, ავაცილათ საშინაო ომში, დიდ ბრიტანეთს გერმანიის მხრიდან უეჭველად რომ ემუქრებოდა. თუ მაინც და მაინც დავუშვებთ, რომ ინგლისი სსრკ-ს გარეშე იოლად გავიდოდა, მაშინ არანაკლებად შეიძლება იმავს თქმა საბჭოთა კავშირის შესახებაც...“

თქვენსავით მეც კარგი შთაბეჭდილებები დამრჩა თეირანში ჩვენი შეხვედრებისა და ერთობლივი მუშაობის შესახებ“.

მართლაც, ეტყობა, ცხელ გულზე შეუტია ჩერჩილმა სტალინს, რადგან წარმოუდგენელია, დაივიწყებოდა, როგორ აიცვალა სტალინი შიტლერის შემოთავაზება „ბრიტანეთის მემკვიდრეობის“ განაწილების შესახებ.

ცალკე აღებულ ამ დიქლომატიურ დაპირისპირებაში სიმართლის მსგავსი სიცრუე სიმართლის წინაშე უფლური აღმოჩნდა.

გაზრძელება იქნება რუბრიკას უძღვება არამაზ სანაბლიკა



წარმატებული შტაპის შემდეგ საზრანგეთში



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ყველაზე უაფულა სოლი

კორეელი მამაკაცი ლი ჯინ-გიუ დაქორწინდა იაპონურ ბალიშზე, რომელსაც ანიმეს პერსონაჟი ახატია. 28 წლის სიძემ თავის ბალიშს განსაკუთრებული ცერემონიალი მოუწყო. ბალიში თეთრ საქორწინო კაბაში იყო გამოწყობილი. „წყვილის“ ქორწინებას ამუქებდა ლოკალური ტელევიზიაც.

შვიდი ჯუჯა

ეს ჯუჯების ყველაზე დიდი ოჯახია მსოფლიოში. გარე სამყაროდან ისინი ყველასგან გამოირჩეულებად გამოიყურებიან, თავად კი ამბობენ, რომ დანარჩენი ადამიანებისაგან ერთადერთი რამით განსხვავდებიან — მათზე ოდნავ პატარები არიან.

ამგარი და ტრენტი თავიანთ 5 შვილთან ერთად ჯორჯიის შტატში ცხოვრობენ. ისინი საკუთარ ოჯახზე ხუმრობენ კიდევ და თავს ზღაპრიდან გადმოსულ ნამდვილ 7 ჯუჯად მოიხსენიებენ.

მართალია, ტანის პატარა ზომის გამო ცხოვრება არც ისე ადვილია, მაგრამ მშობლები ამბობენ, რომ შვილებს შესაბამისად ზრდიან, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მოერგონ იმ სამყაროს, რომელიც მათთვის არაა შექმნილი. არ ცდილობენ, რომ საქმე გაიადვილონ, ვთქვათ,

სახლში ყველაფერი შესაბამის ზომებში ჰქონდეთ მოწყობილი. ისინი სწავლობენ, თუ როგორ გადაჭრან ყოველდღიური პრობლემები გარკვეული ხერხებით, რადგანაც გარემო მათ ფეხს ვერ აუწყობს. მაგალითად, შუქის ასანთები ნორმალურ სიმაღლეზეა განთავსებული, ხელის მისანვდომად კი ბავშვებს რაიმე ნივთის დახმარება სჭირდებათ.

ტრენტ ჯონსონი ჯუჯების ოჯახში გაიზარდა, მის ცოლს, ამბერს კი ჩვეულებრივი ზომის მშობლები ჰყავდა. ამბერი ჯუჯებს პირვე-

ლად თინეიჯერობის ასაკში შეხვდა, როდესაც მათ შეკრებებზე დაიწყო სიარული. ერთ-ერთი ასეთი თავყრილობის დროს კი ტრენტიც გაიცნო. ერთმანეთს 3 წლის განმავლობაში ხვდებოდნენ, შემდეგ კი დაქორწინდნენ. მალე ამბერი დაორსულდა. ეს მართლაც სასიხარულო ცნობა აღმოჩნდა მთელი ოჯახისთვის, მაგრამ ჯონსონებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, ბავშვი ჯუჯა იქნებოდა თუ ნორმალური ზომის ადამიანი. 31 კვირის თავზე ბავშვი გამოიკველიეს და აღმოჩნდა, რომ მასაც აქონდროპლაზია სჭირდა. ტრენტიც და ემბერიც სიხარულით შეხვდნენ ამ ამბავს, მათ სწორედ თავისნაირი შვილები უნდოდათ.

2 წლის შემდგომ ამბერმა მეორე შვილი — ელიზაბეტი მოავლინა ქვეყანას, თუმცა ეს საკმაოდ სახიფათო ორ-



სულთა გამოდგა ქალისთვის. მისი მენჯები კატასტროფულად გავიდა განზე და ადამიანი, რომელიც სიმაღლეში სულ 48 ინჩი გახლდათ, ორსულობის დროს სიგანეში 51 ინჩი გახდა....

ჯონსონების ოჯახს არ უნდოდა მხოლოდ ორ შვილს დასჯერებოდა, მათ დიდი და სმაურიანი ოჯახი უნდოდათ. მაგრამ ამბერი მორიგ ორსულობას ვერ გადაიტანდა, ამიტომაც ალტერნატიული გზების ძიება დაიწყო და მალევე გადაწყვიტეს პატარების შვილად აყვანა.

მათ 3 პაპში იშვილეს — ანა სერატიიდან, ალექსი სამხრეთი კორეიდან და ემა ჩინაიტიდან. ჯონსონების მემოზრები მათ პატარა ანჯალინა ჯოლსა და ბრად პიტს უწოდებენ.

ისინი თავს არ თვლიან ავადმყოფებად და უძლურებად, შესაბამისად ამისთვის


სახელმწიფოსგან ფინანსურ დახმარებას არ იღებენ.

„მე მჯერა, რომ არსებობენ პატარა ადამიანები, რომლებიც შეუძლოდ

ბრძოლებს თავს ან უძლური არიან, მაგრამ ჩემი ოჯახის ასეთი ნამდვილად არაა“, — ამბობს დიდი ოჯახის ბედნიერი დედა.



ჩასვული შენობა



ბრიტანულმა ტანსაცმლის ბრენდმა MARKS & SPENSER-მა უცნაური საქველმოქმედო აქცია გამართა. კომპანიამ თავის მომხმარებელს ფასდაკლება შეუთვალა, თუ ისინი ჩაბარებულს სანაცვლოდ შეთანაბნა.

კომპანიამ ორიგინალური გზა აირჩია. მათ ჩაბარებული ძველი სამოსი გალერეა Dray Walk-ის ფასადზე გამოფინეს. ძველი ტანსაცმლით „შემოსილი“ შენობა საკმაოდ ეფექტური გამოვიდა.

მომხმარებლის ჩაბარებული ძველი სამოსი გაჭირვებულებს გადაეცემათ.

ექსპრესიონისტიზმის უხელო ნახატები აღმოაჩინეს

კიოლში, ლუდვიგის მუზეუმში, სადაც მსოფლიოს თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი უმსხვილესი კოლექცია ინახება, გერმანელი ექსპრესიონისტების სურათების მეორე მხარეს დღემდე უცნობი ნახატები იპოვეს.

საუბარია გერმანელი მხატვრების — მაქს ჰეხტინის, ერნესტ ლუდვიგ კირხნერისა და რუსი მხატვრის — ალექსანდი იავლენკოს ნამუშევრებზე.

სურათები აღმოაჩინეს მუზეუმის რესტავრატორებმა, რომელთაც ხელოვნების ნიმუშების გამოფენისთვის მომზადება ევალებოდათ. გამოფენა 2012 წლის აგვისტოსთვის იყო დაგეგმილი და ექსპონიციისთვის ზოგიერთი ნამუშევარი ჩარჩოში უნდა ჩაესვათ.

მუზეუმის თანამშრომლებმა კირხნერის სურათის „ნახევრადმიშველი ქუდი“ უკანა მხარეს ტილოს მიაგნეს, რომელზეც გოგონა — ფრანცისკა ფერმანი გა მოსახული. უკანა ფონზე მხატვარმა სამი შიშველი ფიგურა დახატა. ადრე მხოლოდ ამ ნამუშევრის ესკიზის არსებობის შესახებ იყო ცნობილი.

რაც შეეხება იავლენკოს

ნამუშევარს „ქუჩის ნითელი გამოსახულება“, მისი შავ-თეთრი ფოტო არსებობდა, მაგრამ 1960 წლიდან სურათი ინფორმაციას არ ფლობდნენ. მისი ნახვის შესაძლებლობა დამთავალიერებელს პირველად მიეცემა.

ჰეხტინის ნამუშევარი „მეუღლის პორტრეტი“ 1910 წლით არის დათარიღებული, 1965 წლამდე სურათს საგამოფენო დარბაზებში ფენდენ, მოგვიანებით ტილო შემოაბრუნეს და პირველი ნახატი დაივიწყეს (მეორე მხარეს დახატულია ქალი კატი, რომელიც მწვანე ტახტზე ზის).

ფულისა და მასალის დასაზოგად ექსპრესიონისტები ტილოს ორივე მხარეს ხატავდნენ. გამოფენის კურატორმა იულია ფრიდრიხმა აღმოჩენას „პატარა სენსაცია“ უწოდა. სამივე ნამუშევარი კიოლნელი იურისტის — იოზეფ ჰაუბრიხის კო-



ლექციიდან არის, იგი 1920 წლებში ექსპრესიონისტების ნამუშევრებს აგროვებდა. მან ნაცისტებისგან საკუთარი კოლექციის გადარჩენა მოა-

ხერხა. 1946 წელს ჰაუბრიხმა ნამუშევრები ქალაქს აჩუქა. აგვისტოს გამოფენა სწორედ იოზეფ ჰაუბრიხის ხსოვნას მიეძღვნება.

ორგანიზმების

ჩინელი მხატვარი სიონან სუნ მორგან ფრინველისა და ტიმ რობინსის პორტრეტებს ერთდროულად ორივე ხელით ხატავს. და ეს ერთადერთი გამონაკლისი შემთხვევა არაა მის შემოქმედებაში, მას შეუძლია ერთდროულად ორივე ხელით სხვადასხვა გამოსახულების ხატვა. მხატვარი თვითნასწავლია. მან ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩააბარა და მხოლოდ ამის შემდეგ გააცნობიერა, რომ უნდოდა მხატვარი გამხდარიყო. მან ძვირფასი მასალები შეიძინა, მაგრამ მალევე მიუბრუნდა ნახშირს, როგორც იაფ და სუფთა მასალას. სუნის თქმით, ერთი ნამუშევრის შექმნას 2-3 საათი სჭირდება, მიუხედავად იმისა, ერთი ხელით მუშაობს თუ ორით.



ქრონოგრაფი



www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გაქვება უკვდავებად

ადამიანი ოდითგანვე ოცნებობდა უკვდავებაზე, რაც ამ დრომდე მის აუხდენელ ოცნებად რჩება, მაგრამ დედამიწაზე არიან არსებები, რომლებმაც ასეულობით წლის მანძილზე სპეციფიური განვითარების შედეგად უკვდავებას ან წარმოუდგენელ გამძლეობას მიაღწიეს.



უკვდავი მეღუზა

თურიტოპსის ნუტრიცულა ცნობილია როგორც უკვდავი მეღუზა. ეს არსება ნამდვილად იმსახურებს პირველ ადგილს დედამიწაზე სიცოცხლის ხანგრძლივობის რეიტინგში, რადგან მისი სიცოცხლე უსასრულოდ გრძელდება. მეღუზა წრეზე ბრუნავს, როდესაც განვითარების ბოლო ეტაპზე მივს, ანუ ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, დაბერდება, უკუპროცესი იწყება და ახლიდან იწყებს ცხოვრებას, ანუ სიბერეს მოსდევს ახალგაზრდობა და ეს ასე გრძელდება მუდამ.




ლანგი

ეს თევზი ბინადრობს ისეთ ადგილებში, სადაც წყალი ხშირად შრება, მაგრამ მისთვის ეს სიცოცხლის დასასრულს სულაც არ ნიშნავს. თევზი ნებისმიერ კლიმატურ პირობებს უძლებს და შეუძლია მთელი წელიც კი გაძლოს უწყლოდ. თევზი ტალახში ჩაფლვობა და ასე დარჩება გაუძირველად, საკვებისა და წყლის გარეშე, უკეთესი დროის დადგომამდე. ერთხელ ექსპერიმენტისას აკვარიუმი, რომელშიც ტალახში ჩაფლული ლანგი „ინახებოდა“, დაიკარგა. ის მხოლოდ 6 თვის შემდეგ იპოვეს. ტალახი მთლად გამხმარიყო. როდესაც გამოშრალ მინას წყალი დაასხეს, მასში ლანგიც გაცოცხლდა.



ხისტობა

ეს არსება ახალ ზელანდიაში ბინადრობს და საკმაოდ დიდი ზომის არის. იგი უფრო მწერთა ოჯახს მიეკუთვნება. ხისტობას უჩვეულო თავისებურება აქვს, რომლის წყალობითაც ფაქტობრივად უკვდავია. მას ნებისმიერი ტემპერატურის გაძლევა შეუძლია. მისი ორგანიზმი ისეა მოწყობილი, რომ სისხლი არ დედება, ყველაზე დაბალ ტემპერატურაზეც კი ის განაგრძობს მოძრაობას და ხელსაყრელი პირობების დადგომისთანავე აცოცხლებს ორგანიზმს, რომლებმაც „უამინდობისას“ მიიძინეს.



ჰიდრა

მეცნიერებს ჰიდრა ამ დრომდეც არ ჰყავთ ბოლომდე შესწავლილი, მაგრამ ის კი იციან, რომ ჰიდრა დაახლოებით იმავე პრინციპით ცოცხლობს, როგორც ზემოხსენებული მეღუზა. ჰიდრას აქვს სპეციფიური კამერები, რომლის დახმარებითაც „მოძველებული“ და მწყობრიდან გამოსული ორგანიზმისგან თავისუფლდება, მათ სანაცვლოდ კი ახლებს ქმნის. ამის წყალობით იგი უკვდავია.



ჩუაქი მავალი

ამ არსებას მეცნიერები წყლის დათვის უწოდებენ, თუმცა დათვები მასავით ამტანნი რომ იყვნენ, გადაშენების პირას აღარ იქნებოდნენ. ეს მიკროსკოპული ზომის არსება, რომლის ზომაც სულ ერთ-ნახევარი მილიმეტრია, წყალში ბინადრობს და მისი ნახვა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშია შესაძლებელი. რატომაც არა, ის ხომ აბსოლუტურად ყველანაირ ბუნებრივ პირობას ეგუება. -273-დან +151 გრადუსამდე ტემპერატურა მისთვის რაიმე პრობლემას არ წარმოადგენს. გარდა ამისა, ჩუაქი მავალი უძლებს იმაზე ათასჯერ მეტ რადიაციას, ვიდრე დედამიწის სხვა ყველაზე რადიაციამდიდარ არსებებს.

სიხინათელაგის ფესტივალი

იაპონიაში ტრადიციული ფესტივალი „ჰოტარუ“ გაიმართა, რაც ქართულად ციციანთელას ნიშნავს. ორგანიზატორებმა მდინარე სუიდუში, რომელიც ტოკიოს ცენტრში მიედინება, 100 000 კაშკაშა ბუშტი გაუშვეს.

ბუშტები დღის განმავლობაში მზის ენერგიით იმუხტებიან, ხოლო ღამით წყალთან კონტაქტის დროს ანათებენ. ამ ულამაზეს პერფორმანსს იაპონელებმა „ვარსკვლავების ლოცვა“ უწოდეს. მოგვიანებით წყლის ციციანთელეები მდინარის დინებაში ნაილო და ერთ ადგილას მოაგროვებენ, რამაც კიდევ უფრო ლამაზი სანახაობა შექმნა. არსებობს უამრავი ისტორიული მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ადრე სუიდუში ნამდვილი ციციანთელები ბინადრობდნენ. მწერები გამჭვირვალე წყალში ცხოვრობდნენ და ღამით ანათებდნენ. XVIII საუკუნეში მდინარის ნაპირზე ციციანთელების შეგროვება პოპულარულ იაპონურ გასართობად მიიჩნეოდა.



ეკვიპაჟი მისვალაგული გასოხლდა


28 წლის ეგვიპტელი ჰამდი ჰაფეზა აღწერა საკუთარი გასვენების დროს გაცოცხლდა და, ცხადია, ეგვიპტეში ეს ფაქტი ნამდვილ სასწაულად მიიჩნის.

ექიმების თქმით მამაკაცი ინფარქტით იმ დროს გარდაიცვალა, როდესაც ვენახში საქმიანობდა. ძალიან ცხელ ამინდში, როდესაც მან თავი ცუდად იგრძნო და გული წაუვიდა, ექიმებმა დალუბულად გამოაცხადეს. როდესაც ჰამდი ჰაფეზა აღწერა აცმევდინენ, რათა კუბოში ჩაენვინათ, ერთ-ერთმა იქ მყოფთაგანმა დაინახა, რომ „მიცვალეული“ სუნთქავდა და ვენები უმოძრავებდა.



მთელ მსოფლიოში ქვეყნების თავდაცვითი სტრუქტურები სულ უფრო ხშირად იყენებენ უპილოტო დაკვირვების აპარატებს. ეს აპარატები სხვადასხვა ტექნოლოგიით მზადდება, თუმცა ახალი უპილოტოს მსგავსი შედეგები, რომლებიც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ლაბორატორიის ინჟინრებმა შექმნეს, ჯერჯერობით იშვიათად გვხვდება.

ლაბორატორია Micro-Aviary-ის მეცნიერებმა რაიტ-პატერსონის ავიაბაზაზე ულტრა-მინიატურული საფრენი აპარატი შექმნეს, რომელიც ჩვეულებრივი ნემსიყლაპიის ანალოგია. მანქანის ძირითადი ნაწილის ზომები ციფრული ჩიპის ზომისაა. ამ პატარა კორპუსში მათ მოათავსეს ფრთა დაამაგრეს. პერსპექტივაში ინჟინრები მიკროსკოპული უპილოტო საფრენი აპარატის კორპუსში კიდევ გეგმვენ პატარა კამერის მოთავსებას, რომელიც რეალურ დროში ვიდეო ტრანსლირებას მოახდენს. ინჟინრებმა სხვა მიღწეებიც აღნიშნეს. კერძოდ, მათ შექმნეს ზემგრძობიარე მოძრაობის სენსორი, რომელიც უპილოტოს პოზიციას მაღალი სიზუსტით განსაზღვრავს. ლაბორატორია უფრო დიდ აპარატებზეც მუშაობს, რომლებიც ჩიტების მსგავსად იქნევენ ფრთებს, რათა ჰაერში გადაადგილდნენ. ამისთვის მეცნიერები ნამდვილი ჩიტების ქცევასა და მოძრაობის მანერას სწავლობენ.



რას ემსახურება ბათუმის უნივერსიტეტი კვირადღიერი სათვალთვალო კამერების დაბრუნება?



თვეზე მეტია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში უფრო და უფრო მატულობს უკმაყოფილოთა რაოდენობა. ამის მიზეზი არც მოახლოებული გამოცდებია და არც სტუდენტების აკადემიური მდგომარეობა, მიზეზი სულ სხვა რამაა, კერძოდ ისინი უკმაყოფილო არიან უნივერსიტეტში განხორციელებული ბოლოდროინდელი ცვლილებებით. საუბარია სათვალთვალო კამერებზე, რომლებიც როგორც დერეფნებში, ასევე აუდიტორიებში დამონტაჟდა.

კამერებზე საუბარი განცხადების გახმაურებისთანავე მთავარ თემად იქცა როგორც სტუდენტებს, ისე აკადემიურ პერსონალს შორის და ძირითადად უარყოფითი და კრიტიკული შეფასება გამოიწვია. სწორედ ამის გამო შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა ალექსო ბაკურიძემ რამდენიმეჯერ მოახსოვ კონფერენ-

ცია, რათა აეხსნა უკმაყოფილო სტუდენტებისთვის, თუ რა ჰქონდა დადებითი სათვალთვალო კამერების დამონტაჟებას. ამ პრესკონფერენციებზე ძირითადად ერთი და იგივე ისმოდა, რომ **კამერები დაბრუნებული უნდა იქნას, რომელიც უნივერსიტეტის „კამერების განხორციელება“ დაბრუნებული უნდა იქნას, რომელიც უნივერსიტეტის „კამერების განხორციელება“ დაბრუნებული უნდა იქნას.**

მონტაჟებულია ისეთი აუდიტორიებშიც, სადაც არანაირი ტექნიკა არ არის და არც ახლო მომავალში ჩანს ამის პერსპექტივა.

სტუდენტები ასევე ფიქრობენ, რომ მათი საუბარი უნივერსიტეტის საბარდო მანველიძე ასე პასუხობს: „წყალობა არ დავასახელებ, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ ისმინება. ეს პირად საუბრებშიც ყველგან. საერთოდ ეს ძვირადღირებული კამერებია, რომლებიც აღჭურვილია მოსამხმენი მექანიზმით, ამასთანავე, ლექციებიც ისმინება, როგორც აღნიშნეს, სწავლების გაუმჯობესების მიზნით. პირადად მე დავიკომფორტს არ მიქმნის, თუმცა ამის მოსმენა საკმაოდ არაეთიკურია. ამასთანავე, სასამართლოს ნებართვის გარეშე საუბრის მოსმენა კანონით ისჯება და, არ მგონია, ამაზე სასამართლოს ნებართვა იყოს გაცემული“.

როდენობითაა წიგნები, როდესაც ტექნიკურად გამართული პერსონალური კომპიუტერების რაოდენობა ძალიან მცირეა, ისტორიის ლექციებზე ელემენტარული, ათლარიანი რუკებიც კი არაა, ათასობით ლარი იხარჯება კამერებს და მოსამხმენ აპარატურაზე. გაუგებარია, რას ემსახურება განხორციელებული პროექტი, ერთი კი ნათელია, ეს არც ტექნიკის დასაცავადაა გაცემული და მიუთმენება არაა საჭირო კამერების დამონტაჟება ისეთ აუდიტორიებში, სადაც ტექნიკა არაა (თან მოსამხმენი მექანიზმით აღჭურვილი კამერების). რაც შეეხება სტუდენტების დაცვას, უკეთესი იქნებოდა, ეყიდათ მეტალოდეტექტორი და უნივერსიტეტის შესასვლელში დამონტაჟებინათ, ასე უფრო ეფექტურად დაიცავდნენ სტუდენტებს.

სოფლის სკოლის ისტორია და მირზაანი – დასლის საფრთხის წინაშე

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანის საჯარო სკოლის პედაგოგები სკოლის ეზოში ავარიული შენობის დემონტაჟს ითხოვენ. მათი თქმით, ეზოში არსებული ასწლოვანი შენობა მოზარდების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის და დიდია ალბათობა, ნებისმიერ დროს ჩამოიხრეს. ადგილობრივები ირწმუნებიან, რომ გახშირებულმა წვიმებმა შენობის კედლებზე ბზარები კიდევ უფრო გაზარდა.

როგორც ინტერნეტგაზეთმა „ქიზიყმა“ გაარკვია, სკოლის ახლანდელი შენობის აგებამდე სოფლის სკოლა იმავე ეზოში მდებარე ძველ შენობაში იყო განთავსებული. ამჟამად შენობა უფუნქციოდ დარჩა და დემონტაჟს საჭიროებს. უამინდობა კი საფრთხის ალბათობას ყოველდღიურად ზრდის.

ვერ დააკავებ. რაც სკოლის ახალი შენობა აშენდა, მას შემდეგ ეს ასე უფუნქციოდ დარჩა. წინა მხარე სულ ჩამოშლილია, კედლები გარღვეულია“, — განუცხადა „ქიზიყს“ სკოლის პედაგოგმა ნაირა ყორიაშვილმა.

მირზაანის სკოლაში განმარტავენ, რომ სასტიკად უნდა იქნას დემონტაჟის ნებართვის თხოვნა მათი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უკვე გაგზავნის სპეციალური წერილი, რომელშიც მინისტრ დიმიტრი შაშკინს პრეზენტაციული ღონისძიებების დაუწყვეტელი გახატვის შესახებ დასტურდება.

სკოლაში ფუნქციონირება 2011 წლის სექტემბრიდან გაიწვია. სოფელ მირზაანის სკოლას დამოუკიდებელი სტატუსი არ აქვს, ის სოფელ ზემო მარხაანის საჯარო სკოლის დაქვემდებარებაში რჩება.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარეს, ცნობილ ჟურნალისტსა და პუბლიცისტს ვალერი კვარაცხელიას დედის თამარ გიორგის ასულ ლუკაძეს გარდაცვალების გამო.

სკოლის დახურვა მირზაანში მიგრაციის დაწყების მთავარ მიზეზად იქცა. ამ დროისთვის სკოლაში 27 მოსწავლე ირიცხება. სკოლის გახსნამდე მირზაანში მცხოვრებ ახალგაზრდებს განათლების მისაღებად ყოველდღიურად მეზობელი სოფლის — ზემო მარხაანის საჯარო სკოლაში სიარული და კილომეტრების გავლა უწევდათ. სოფლის მოზარდების ნაწილი ისევ ზემო მარხაანის სკოლაში ირიცხება.

2006 წელს სოფელ მირზაანის საჯარო სკოლა ოპტიმიზაციის პროგრამის შედეგად დაიხურა და სოფელ ზემო მარხაანის სკოლას შეუერთდა. ამჟამად, სკოლის აღდგენის შემთხვევაშიც მირზაანის სკოლა კვლავაც ზემო მარხაანის სკოლის დაქვემდებარებაში დარჩება, თუმცა სასწავლო პროცესი სოფელ მირზაანში წარმართება. თავის დროზე, მირზაანში სკოლის გაუქმების ერთ-ერთ მიზეზად მოსწავლეთა კონტიგენტის სიმცირე დასახელდა, თუმცა ამჟამად კონტიგენტის სიმცირის პირობებში სკოლის აღდგენის აუცილებლობა ისევ წარმოიჭვა.

ადგილობრივმა მოსახლეობამ სკოლის აღდგენის მოთხოვნით საპროტესტო აქციები რამდენიმეჯერ გამართა, წერილობითი მოთხოვნა არაერთ უწყებაში გაიგზავნა, თუმცა უშედეგოდ. სოფლის მცხოვრებლები აცხადებენ, რომ ნიკო ფროსოვანის სოფლის სოფელში სკოლის არარსებობამ მირზაანი დასლის საფრთხის წინაშე დააყენა.

სკოლის გაუქმების შემდეგ სოფელი არაერთმა ოჯახმა დატოვა. ნაწილი საცხოვრებლად დედაქალაქში გადავიდა, ზოგმა ცხვა გამოსავალი მოძებნა.

როგორ უნდა იქნას 110 ლარის ბოქსისა და კარბელაში უსდინა

კასპის რაიონის სოფელ ჩობალაურში ამბობენ, რომ მთავრობის საძოვრების გამოყენების გამო თითო სულ ძროხაზე გლეხები 110 ლარით დააჯარიმეს. ამის შესახებ მოსახლეობამ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს აცნობა.

როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ კასპის ორგანიზაციის ლიდერმა ხათუნა თათანაშვილმა გამოცემას უთხრა, ცენტრალური ავტომაგისტრალის გახსნის შემდეგ სოფელში საძოვრები ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა იყიდეს. ხათუნა თათანაშვილმა ამ ჩანაწერი მოგვანოა, რომელშიც გლეხები ამბობენ, რომ მათი მიწები კარბელაშვილის, ხოლო ნითელუბნის მიწები ბოქსიას საკუთრებაა. სოფელში ამჟამად 40-მდე ოჯახი ცხოვრობს.

წვიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამკაქლო

ს.ს „ბაართიანებული ტელეკომი“ 602602
შპს „ახტალი“ 700818
შპს „მაგთიკომი“ 200320
შპს „ჯეოსელი“ 700305
შპს „ბილიანი“ 200333

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ძველმომქმედა — ფ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზს თეოდორე ბასილიანს:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საქართველო და მსოფლიოს გაზეტი
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თანამედროვე პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

